პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 224 (9891) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# გარდაქმნისა და განახლების კურსით

## საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესია

**ჩვენი** წინსვლა შეუქცევადია. გარდაქმნა არა მხოლოდ ცხოვრობს და მუშაობს, არამედ ძალებსაც იკრებს, პრაქტიკულად ასხამს ხორცს სკკპ XXVII ყრილობის, XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს. საქართველოს მშრომელები, რომლებიც ენერგიულად ახორციელებენ მათ კონკრეტული საქმეებით, მთელ ძალებს ახმარენ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის გაღრმავებას, განახლების პრინციპების ყველგან დამკვიდრებას.

სწორედ ასეთი განწყობილებით იყო გამსჭვალული საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესია, რომელიც 23 ნოემბერს გაიმართა უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატებთან ერთად აქ მოვიდნენ ისინიც, ვინც განსახილველი საკითხებით არის დაინტერესებული და გამოეხმაურა პრესაში გამოქვეყნებულ მიწვევას სესიაზე დასასწრებად.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. გ. გუმბარიძე, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ნ. ა. ფოფხაძე, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჰითანავა, გ. ხ. ემირიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე, ა. გ. ჩეხოევი, პ. პ. ჩხეიძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა **ნ. ი. ლალიძემ.**

შეკრებილებმა ფეხზე ადგომით პატივი მიაგეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გარდაცვლილი დეპუტატების გ. ვ. ბედინეიშვილისა და შ. ვ. ყარყარაშვილის ხსოვნას.

დეპუტატებმა დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი. განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა.
2. საქართველოს სსრ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკაში „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებათა და დამატებათა შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონების პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ო. გ. ვარძელაშვილმა.**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა **დ. ნ. დვალიშვილმა.**

ამ ორ საკითხზე დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივ კომისიათა თანამოხსენება, რომელიც გააკეთა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ლ. ი. ხაბურზანიამ.**

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი.

(საქინფორმი).

# საინფორმაციო ცნობა

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

**22 ნოემბერს** გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთორმეტე პლენუმი. პლენუმზე მოწვეული იყვნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარენი, მინისტრები და რესპუბლიკურ უწყებათა ხელმძღვანელები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში.

პლენუმმა განიხილა საკითხი რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების აპარატის სტრუქტურის რეორგანიზაციისა და აქედან გამომდინარე პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის ამოცანების შესახებ.

ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. ი. პატიაშვილმა.**

რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების აპარატის ახალი სტრუქტურა შემუშავებულია ადგილებიდან მიღებული კონსტრუქციული წინადადებების გათვალისწინებულით. 30 პროცენტით მცირდება ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა რიცხვი, 17-ის ნაცვლად აქ იქნება 8 განყოფილება, მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეიქმნას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხუთი კომისია — ორგანიზაციულ-პარტიული საკითხებისა და საკადრო მუშაობის, იდეოლოგიის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხთა, აგროსამრეწველო კომპლექსის და სამართლებრივი პოლიტიკის რეალიზაციის კომისიები.

შემოთავაზებული ცვლილებები, აღინიშნა პლენუმზე, მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯია პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გარდაქმნის გზაზე და ყოველი პარტიული მუშაკისაგან მოითხოვს მუშაობის სტილისა და მეთოდების სერიოზულ გადასინჯვას, სტიმულს აძლევს ინიციატივას, შემოქმედებით მიდგომას, დაკისრებული საქმისათვის უდიდეს პასუხისმგებლობას.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **პ. გ. გილაშვილის** ინფორმაცია რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მომავალი, მეათე სესიის მუშაობის საკითხებზე. მიღებულია დადგენილებანი, რომლებითაც ძირითადად მოწონებულია საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმისა და რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

პლენუმზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ვ. ადლეიბა**, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ხ. ემირიძე**, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. გ. ჩეხოევი**, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **რ. ა. გოგლიძე**, საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ს. აბზიანიძე.**

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმზე მოისმინეს ინფორმაციები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინა XI პლენუმზე წამოჭრილი საკითხების შესწავლის შედეგების შესახებ და ახსნა-განმარტება მისცეს მათ გამო.

პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის იდეოლოგიური ვითარების საკითხები და ქალაქ ორიოლში გამართული საკავშირო თათბირის მითითებების შესაბამისად მოსახლეობის სასურსათო მომარაგების გაუმჯობესების საქმეში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

ამ საკითხების თაობაზე ინფორმაცია გააკეთა **ჯ. ი. პატიაშვილმა.**

მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებით **ა. ნ. გლურჯიძე** განთავისუფლებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებად დაამტკიცეს:

ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობისა — **პ. პ. ჩხეიძე**, იდეოლოგიურისა — **ვ. გ. ლორთქიფანიძე**, აგრარულისა — **ბ. ს. ჯიქია**, სოციალურ-ეკონომიკურისა — **ე. ე. კაპბა**, სახელმწიფო-სამართლებრივისა — **ვ. ზ. ბაქრაძე**, თავდაცვითი მრეწველობისა — **ა. ხ. მიხაილოვი**, საერთო განყოფილებისა — **ქ. ქ აბულაძე**, საქმეთა მმართველად — **გ. ს. ბაკურაძე.**

პლენუმმა რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორებად დაამტკიცა: „კომუნისტისა“ — **ნ. გ. ჩერქეზიშვილი**, „ზარია ვოსტოკასი“ — **ა. შ. იოსელიანი**, „სოფლის ცხოვრებისა“ — **ვ. გ. ჭოგოლაშვილი.**

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილება სკკპ რიგებიდან პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივნის ი. ი. მოლაშვილის გარიცხვის შესახებ იმისათვის, რომ ჩაშალა მუშაობა, თავისი მოქმედებით სახელს უტეხდა პარტიულ ხელმძღვანელს, რასაც მოჰყვა სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევები, რაიონის სახალხო მეურნეობაში წამატებებისა და მაქინაციების ფაქტების ფართო გავრცელება.

ამით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

(საქინფორმი).

# სპორტსმენი. მწვრთნელი. გუნდი

**1988 წლის** სპორტული სეზონის წარმატებათა სათვალავი, ბუნებრივია, სეულის XXIV ოლიმპიური თამაშების შედეგებით აღირიცხება. ოლიმპიადის ორმა დაუვიწყარმა კვირამ ქართული სპორტის ისტორია რამდენიმე ლამაზი და შთამბეჭდავი გამარჯვებით გაამდიდრა. ეს გამარჯვებები, ეჭვგარეშეა, სათანადოდ აისახება ჟურნალისტთა ტრადიციულ საახალწლო ანკეტაში, რომლის მიზანიც გახლავთ წლის საუკეთესო სპორტსმენის, მწვრთნელისა და გუნდის გამოვლენა.

ქართული სპორტი ოლიმპიადაზე თექვსმეტი საუკეთესო ათლეტით იყო წარმოდგენილი, რომელთაგან თერთმეტი სხვადასხვა ღირსების 12 ოლიმპიურ მედლებს დაეპატრონა. ოლიმპიადამდეც და მას შემდეგაც ჩვენმა გაზეთმა ბევრი მასალა მიუძღვნა მათ სამზადისსა და გამოსვლებს. ამიტომ ამჯერად დავარღვევთ ტრადიციას და მომავალი კონკურსის ლაურეატებს ხელახლა აღარ წარმოგიდგენთ.

რაც შეეხება წლის საუკეთესო მწვრთნელებსა და გუნდებს, მათზე საუბარს გაზეთის უახლოესი ნომრებიდან დავიწყებთ იმ ანგარიშით, რომ ყველა სავარაუდო კანდიდატზე. ინფორმაცია მკითხველებს დროზე მივაწოდოთ.

## გორელი ძიუდოისტები გამარჯვებულთა შორის

**ნოვოპოლოცკი.** ჟურნალმა „სოვეტსკიე პროფსოიუზი“ უკვე მეათედ მოაწყო ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც რვა ქვეყნის 130 ათლეტი მონაწილეობდა.

შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზეს ძმებმა მაჰომედ და მურატ ტიულპაროვებმა. მაჰომედმა (იგი ადიღეის ავტონომიურ ოლქში ცხოვრობს) პირველი ადგილი დაიკავა 86 კგ წონაში, მურატმა კი (პოლოცკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი) 71 კგ-ში.

გამარჯვებულთა შორის არიან გორელი ძიუდოისტები ენგურ გოგიჩაშვილი და მიხეილ ხუმრაძეც.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ფანავი ზეკრინმა (ჩაიკოვსკი), ჯონი ლიპარიძემ (მაიკოპი), მურატ ტიულპაროვმა, ენგურ გოგიჩაშვილმა, მაგომედ ტიულპაროვმა, დიმიტრი სოლოვიოვმა (ჩირჩიკი), მიხეილ ხუმრაძემ, ვლადიმერ ლობაჩოვმა (ჩაიკოვსკი).

## შეუპოვარ ბრძოლაში

**საჭადრაკო** ოლიმპიადების ქალთა ტურნირებში ისეთი შეუპოვარი ბრძოლა, როგორც დღესა აქვთ გაჩაღებული საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის გუნდებს, არ ახსოვთ ამ თამაშის ჭარმაგ ქომაგებსაც კი. ყოველ ტურში ხან ერთი ქვეყნის ნაკრები გადის წინ, ხან მეორისა. აი ახლაც, 9 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ უნგრელები (21,5 ქულა), საბჭოთა ქალებს კი 21 ქულა და ერთი მოსაგებ პოზიციაში გადადებული პარტია აქვთ და ისევ ინარჩუნებენ წინ გაჭრის შანსებს. მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრულად.

საბერძნეთის ქალაქ სალონიკში მიმდინარე ასპარეზობის VIII ტურში ჩვენმა გუნდმა ფრედ დაამთავრა შეხვედრა პოლონელებთან. ახმილოვსკაია დაუზავდა ბრუსტმანს, ლევიტინა დამარცხდა ერენსკასთან, ლიტინსკაიამ მოუგო ვიზეს.

სამაგიეროდ ბრწყინვალედ ითამაშეს უნგრელებმა, რომლებმაც „მშრალი“ ანგარიშით (3:0) სძლიეს ჩეხოსლოვაკიელებს.

IX ტურის წინ საბჭოთა და უნგრელ მოჭადრაკეებს 19,5-19,5 ქულა ჰქონდათ და, როგორც იტყვიან, ბრძოლა ლიდერობისთვის თავიდან იწყებოდა. ამ ტურში საბჭოთა გუნდი საბერძნეთის ნაკრებს შეხვდა და მატჩის ანგარიშია ჯერჯერობით 1,5:0,5 ჩვენი გუნდის სასარგებლოდ (ჩიბურდანიძე — მაკროპულოსის პარტია ყაიმით დამთავრდა, ერთი შეხვედრა გადაიდო). უნგრელებმა პოლონეთის გუნდს სძლიეს 2:1.

IX ტურის სხვა შეხვედრები ასეთი შედეგებით აღინიშნა: იუგოსლავია — კუბა 2,5:0,5, ბულგარეთი — პოლონეთი 2:1, რუმინეთი — ინდოეთი — 1:2, ავსტრია — დანია 1:2, გფრ — აშშ 1,5:0,5.

ლიდერებს კვალში მიჰყვებიან იუგოსლავიისა (19) და პოლონეთის (17) წარმომადგენლები. შემდეგ მოდიან ჩინეთი — 16,5 (1), ბულგარეთი, ინდოეთი — 16,5-16,5, საბერძნეთი — 16 (1), ინგლისი, აშშ — 16-16, გფრ — 15.

### გუშინ...

გადადებულ პარტიაში გამარჯვების შემდეგ წინ გავიდა სსრკ ნაკრები — 22 ქულა.

ვაჟთა ნაკრებს 9 ტურის შემდეგ 27 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს და 3,5 ქულით უსწრებს ინგლისელთა გუნდს.

## ტრადიცია არ დარღვეულა

**ათენი.** მსოფლიო თასის პირველი გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში 1980 წელს მოეწყო. მას შემდეგ საპატიო ჯილდოს, როგორც წესი, საბჭოთა ათლეტები ეუფლებიან. ასე იყო ამჯერადაც საბერძნეთის დედაქალაქში. ჩვენმა „კლასიკოსებმა“ ერთნაირი ანგარიშით — 10:0 დაამარცხეს აშშ-სა და საბერძნეთის ნაკრები კოლექტივები, კუბის გუნდს კი მოუგეს 8:1.

საბჭოთა ნაკრების ღირსებას (უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი რუსტემ კაზაკოვი) იცავდნენ: ოლეგ კუჩერენკო (ვოროშილოვგრადი), ანდრეი კალაშნიკოვი (კიევი), ალასი მანუკიანი (ლენინაკანი), გენადი ატმაკინი (სარანსკი), მნაცაკან ისკანდერიანი (ლენინაკანი), ალექსანდრე კონდრაცკი (კიევი), სერგეი ნასევიჩი (როსტოვი), სერგეი დემიაშკევიჩი (მინსკი), ალექსანდრე ფედორენკო (გროდნო), იგორ როსტოროცკი (ნოვოროსიისკი). როგორც ხედავთ, ნაკრები უმთავრესად ახალგაზრდა მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული.

მეორე ადგილი გუნდურ ჩათვლაში კუბის მოჭიდავეებს ხვდათ, მესამე — აშშ-ს წარმომადგენლებს.

სადაც ხელშეწყობაა — დიდი სპორტი ბავშვებთან მუშაობით იწყება

# როგორი „პროდუქტია" ენთუზიაზმი?

**უცნაური** ამბავი მოხდა.

ორი წლის წინ—სად ვაზისუბნის დასახლება, სად რეგბი... აქაური ბიჭებისთვის რომ გეკითხათ, სპორტის რომელი სახეობა გიყვართ, რომელში გინდათ ივარჯიშოთო, ვეჭვობთ, ერთს მაინც ეთქვა, რეგბი, რეგბისტი მინდა გავხდეო.

არადა, ახლახან ვაზისუბნელები ჭაბუკ რეგბისტთა საკავშირო ტურნირის „ტირას-88"-ის ჩემპიონები გახდნენ.

ვინც ასე თუ ისე იცნობს ჩვენ რეგბისტებს, უმალ იაზრებს — იმ უბანში, ალბათ, რეგბისტი გადავიდა საცხოვრებლად ან სამუშაოდ, თორემ ისე რა „მოწამლავდა" იქაურ ბავშვებს, ფეხბურთს და სხვა სახეობებს რეგბი არჩიესო.

ამის მთქმელს, რომ იტყვიან, გამოცანა ერგება.

დიდი ხანი არ არის, რაც ვაზისუბანში, 172-ე საშუალო სკოლაში, ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობა დაიწყო ყოფილმა რეგბისტმა ემზარ სულაქველიძემ. მწვრთნელად მუშაობის საკმაო გამოცდილების მქონეს, ისე რა გააჩერებდა, რეგბის გუნდი არ ჩამოეყალიბებინა, მით უმეტეს, რომ წამქეზებელი და მხარში ამომდგომიც მალე გამოუჩნდა — ცხადია, ისიც ძველი რეგბისტი გოგი გუდაძე. 1986 წლის ნოემბერში სკოლასთან ჩამოყალიბდა პირველი გუნდი, რომელსაც „ივერია" დაერქვა. ახალბედებს პირველად ხელი შეაშველა თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველომ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში დებიუტის შემდეგ „ივერია" ტაგანროგში, ჟურნალ „სპორტივნიე იგრის" პრიზის „ოქროს ოვალის" საკავშირო გათამაშების ფინალურ ტურნირზე გაემგზავრა. ყველასათვის მოულოდნელად დამწყებმა თბილისელმა რეგბისტებმა ამ ტურნირში მეორე ადგილი დაიკავეს — მხოლოდ ფინალურ მატჩში დამარცხდნენ მასპინძლებთან და მათთვის პირველ საკავშირო ტურნირის ფინალში წაგება ისე იწყინეს, თამაშის მერე ცხარე ცრემლით ატირდნენ.

მას შემდეგ ვაზისუბანში რეგბი საგრძნობლად მოღონიერდა. უბნელების პირველი წარმატება აქ ისე გახმაურდა, რომ მალე 172-ე სკოლასთან ჩამოყალიბდა რამდენიმე გუნდი, რომლებშიც 200-მდე მოზარდი გაერთიანდა (დღეისთვის სკოლაში ორი რეგბის კლასი და 1972-79 წლებში დაბადებულ ყმაწვილთა ხუთი გუნდია). რეგბის თამაშის შესწავლის მსურველთა გაზრდილ კონტიგენტს მარტო ქალაქის საბინაო სამმართველო და სკოლა, ცხადია, ველარ გასწვდებოდნენ და ახალი შეფიც დროულად გამოჩნდა — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა, პირველი ლიგის კოლექტივმა „შევარდენმა" ახალბედებს თავისი სახელიც დაანათლა, სავარჯიშო მოედანიც დაუთმო და შეკრება-შეჯიბრებებზე გასამგზავრებელი თანხებიც გამოყო. განზე არც 26 კომისრის რაიაღმასკომი დარჩენილა — საბინაო ტრესტმა პატარა რეგბისტებს ფორმა და ავტობუსი გადასცა. მოედანზე გასულ ბიჭებს კი ახლა ერთის მაგივრად ოთხი მწვრთნელი ავარჯიშებს — ემზარ სულაქველიძემ გვერდში ამოიყენა ახალგაზრდა კოლეგები ლევან მგელაძე, დათო გეგეშიძე და ნუგზარ ტყაბლაძე.

საერთო ზრუნვის შედეგს არ დაუხანებია: ახლახან ტირასპოლში ჩატარებულ 1973-74 წლებში დაბადებულ ჭაბუკ რეგბისტთა საკავშირო ტურნირში თბილისელებმა იოლად დაამარცხეს ტაგანროგელი (სწორედ ისინი, ვისთანაც შარშან „ოქროს ოვალის" ფინალში წააგეს) — 17:4, ლვოველი (22:0), ოდესელი (36:8), ბელცელი (32:0) თანატოლები, შემდეგ ფინალში მასპინძლებს, ტირასპოლელებს სძლიეს (13:11) და დამაჯერებლად დაიკავეს პირველი ადგილი.

როგორც ხედავთ, ამ კარგად დაწყებული საქმის სათავე ჩვენი რეგბისტებისთვის ღვთისგან დანათლული თუ მისჯილი ის ენთუზიაზმი გახლავთ, რომელმაც ქართულ რეგბის მრავალი განსაცდელი გადაატანინა და მისი ბევრი წარმატების საფუძველიც გამხდარა. ენთუზიაზმი კი, ერთ სატელევიზიო გადაცემაში ნათქვამს გავიმეორებთ, ისეთი „პროდუქტია", დიდხანს ვერ სძლებს, მალე ფუჭდება. ვაზისუბნელებს ბედმა გაუღიმა — ქომაგები დროულად გამოუჩნდნენ, მაგრამ იმ საქმის გასასრულებლად, რომლის მიზანიც თბილისის ამ ახალ დასახლებაში რეგბის მტკიცედ დამკვიდრებაა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. კონკრეტული გეგმებიც არსებობს — წლის ბოლომდე ვაზისუბანში უნდა შეიქმნას რეგბის კლუბი „ივერია", უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება 26 კომისრის რაიაღმასკომსა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს შორის და ა. შ. ერთი სიტყვით, თუ ვაზისუბნელთა წამოწყებას „სულის შემბერი" არ მოაკლდა, ქართული რეგბის ბალავერი კიდევ უფრო განმტკიცდება და ამ საქმის კეთილ ნაყოფს მომავალში აუცილებლად მოვიმკით.

**თამაზ შენგელია.**

# პრობლემა მართლაც ბევრია

**წლეულს** I ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო გათამაშების მონაწილე გუნდები ორ-ორ თამაშს ატარებენ — შინ და გარეთ. განვლილი ტურების შედეგად ჯერჯერობით გამოკვეთილი ლიდერი არ ჩანს, არადა, 12 კოლექტივს შორის ასპარეზობენ საყოველთაოდ ცნობილი რიგის ტტტ, კაუნასის „ბანგა" და სხვები. ცხადია, ყველაზე მეტად გვაინტერესებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის ბედ-იღბალი. ახლანდელი სეზონი გუნდმა წარუმატებლად დაიწყო, სტუმრად ჩატარებული რვა შეხვედრიდან მხოლოდ ქულა ჩამოიტანა. სამაგიეროდ შინ გამოიჩინა თავი. 12-13 ნოემბერს მისი მეტოქე იყო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — დნეპროპეტროვსკის „სტალი". პირველი შეხვედრა, რომელშიც საქართველოს სპორტსმენები მეორე ნახევრის მე-16 წუთამდე ინარჩუნებდნენ უპირატესობას, „სტალმა" მოიგო — 78:76. რაც შეეხება მეორე დღის ორთაბრძოლას, სტუდენტმა კალათბურთელებმა იოლად დაჯაბნეს სტუმრები — 86:61.

თბილისელთა მომდევნო მეტოქე ასევე ლიდერთა ჯგუფში მყოფი კიშინიოვის „ინჟდორსტროი" გახლდათ. მასთან პირველი შეხვედრა 16 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ ამ დღეს მხოლოდ ორმა კალათბურთელმა მოახერხა ჩამოსვლა თბილისში, ამიტომ მატჩი ერთი დღით გადაიდო. ფრუნზეში ჩატარებული თამაშების შემდეგ მოლდაველის კალათბურთელები უამინდობის გამო სამ დღეს მსხდარან ტაშკენტის აეროპორტში. (ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისში სამსაჯოდ მხოლოდ ა. ატალიანი ჩამოვიდა, ამიტომ მასთან ერთად შეხვედრის არბიტრობა დაევალა ადგილობრივ არბიტრ გაიოზ ოსიაშვილს, ხოლო კომისრობა — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლევან ფალავანდიშვილს). 17 ნოემბერს სტუმართა გუნდს კიდევ ოთხი კალათბურთელი შეემატა და შესაძლებელი გახდა მატჩის გამართვა. დასაწყისში კიშინიოველები ფრთხილობდნენ. რა გასაკვირია, რომ ექვსკაციან გუნდს ჯარიმების მიღებისა შინებოდა. მეცამეტე წუთიდან, როცა მასპინძლები დაწინაურდნენ 28:17, მეტოქემ პრესინგს მიმართა, აქტიურად იყენებდა სამქულიან სროლას (განსაკუთრებით ა. ბალიცკაია გამოირჩეოდა, რომელმაც 20 ქულა შესძინა თავის გუნდს და აქედან 15-სამქულიანი სროლით). პირველი ნახევარიც მან მოიგო — 36:33. შესვენების შემდეგ სპი-ს კალათბურთელები უკვე მეხუთე წუთისთვის დაწინაურდნენ 47:43. საიმედოდ მოქმედებდნენ გუნდის ტანმაღალი კალათბურთელები — ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის მ. მხეიძე და ო. კორკოტაძე, რომლებიც იოლად ჯაბნიდნენ მეტოქეს როგორც საკუთარ, ისე მის ფართან. საბოლოოდ გაიმარჯვა სპი-მ 82:73. ჩვენს გუნდს ყველაზე მეტი ქულები შესძინეს ო. კორკოტაძემ (23) და მ. მხეიძემ (21).



მეორე თამაშზე კიშინიოველები სრული გუნდით წარსდგნენ, რამაც მეტი სიმწვავე და დაძაბულობა შეიტანა პაექრობაში. სტუმრებმა კვლავ პრესინგსა და სამქულიან სროლებს მიმართეს, მაგრამ ამას თბილისელები მომზადებული შეხვდნენ. სტუმრებს ეფექტური თამაში აღარ გამოუვიდათ, უფრო მეტიც, ხშირად ჯარიმდებოდნენ, თანაც, თუ წინა თამაშში „ინჟდორსტროის" კალათბურთელებმა 28 სამქულიანი სროლიდან 11 ჩააგდეს, ამჯერად შედეგი გაცილებით უარესი იყო (7). თბილისელებმა ამ შეხვედრაშიც იმარჯვეს 65:62 და აქტივში მორიგი ქულა ჩაიწერეს.

დედაქალაქში ჩატარებულმა ოთხმა მატჩმა დაგვარწმუნა, რომ თბილისელებს ურიგო კოლექტივი როდი ჰყავთ, მაგრამ მოიკოჭლებს მათი ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება. მიზეზი? ამის შესახებ გვესაუბრება გუნდის უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი **გარი არუთინოვი:**

— გულახდილად რომ გითხრათ, მიკვირს კიდეც ჩვენი გოგონების ასეთი თამაში. თავად განსაჯეთ, რესპუბლიკის პირველ კოლექტივს საკუთარი ბაზა არ გააჩნია, ამიტომაც ჩემპიონატისთვის მზადების გეგმა ვერ შევასრულეთ. უფრო მეტიც, ძირითადად ერთჯერად ვარჯიშებს ვჯერდებით, სექტემბრიდან დღემდე საკუთარი საერთო საცხოვრებლის უქონლობის გამო, არც ერთი საწვრთნელი შეკრება არ ჩაგვიტარებია. აქედან გამომდინარე, კონტროლს ვერ ვუწევთ, თუ რას აკეთებენ გუნდის წევრები ვარჯიშამდე და ვარჯიშის შემდეგ — როგორ ისვენებენ, როგორ იკვებებიან. ასეთ მდგომარეობაში ვართ თამაშის დღეებშიც. I ლიგის გუნდებს შორის ჩვენი კოლექტივი ერთადერთია, რომელსაც საკუთარი ავტობუსი არა ჰყავს, უკვე მეხუთე თვეა უმეორემწვრთნელოდ ვართ. განვიცდით მორგებული სპორტული ფორმისა და აუცილებელი მედიკამენტების ნაკლებობას.

**⊙ კიშინიოველმა კალათბურთელებმა ორივე შეხვედრაში 56 სამქულიანი სროლა შეასრულეს, მათგან 18-მა მიზანს მიაღწია, თბილისელებმა კი თერთმეტი სროლიდან მხოლოდ 4-ჯერ მოათავსეს კალათში ბურთი. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს ჩვენს კალათბურთელებს შორიდან სროლის ეშინოდათ...**

— ასეც გახლავთ და ეს შიში არ არის უსაფუძვლო. კვირაში ყველაზე მეტი ცხრაჯერ თუ ვივარჯიშებთ, ისიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალ სპორტულ დარბაზში, სადაც საკმაოდ ცივა, თანაც იქ მხოლოდ ორი ფარია. როგორ უნდა დაოსტატდეს ტყორცნებში ერთდროულად 12-15 კალათბურთელი ორფარიან დარბაზში და ისიც ორი საათის განმავლობაში? საკავშირო სპორტსახკომს უახლოეს ხანში დუბლშემადგენლობათა პირველობის ჩატარებაც აქვს განზრახული. სად და როგორ ვავარჯიშოთ სათადარიგო გუნდი საფუძვლიანად? ლენინის სახელობის დარბაზის რემონტი ასე რომ არ გაჭიანურებულიყო, იქნებ დაგვდგომოდა საშველი...

**ვაჟა დანელია.**

# ვეტერანებო, სტარტზე!

**ჩემი** აზრით, საჭიროა სულ მეტი „ჯანმრთელობის" ჯგუფები ჩამოვაყალიბოთ, სადაც მომუშავე და არამომუშავე ომის ვეტერანები ეზიარებიან სპორტს, გაიკაჟებენ ჯანმრთელობას. პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონულმა, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა უნდა ითავონ სხვადასხვა შეჯიბრებების მოწყობა ვეტერანებისთვის.

ასეთი გამოცდილება უკვე არსებობს. მაგალითად, ტომსკის საწარმოო გაერთიანება „კონტურში" ჩატარდა შეჯიბრება ცურვაში, თხილამურებით სრიალში. ასპარეზობაში მონაწილეობდა ყველა ასაკის სპორტსმენი, შარშან კი ტომსკის კიროვის რაიონში გაიმართა მარათონი თხილამურებით სრიალში ქალებისათვის ათ კილომეტრ, მამაკაცებისთვის კი ოც კილომეტრ დისტანციაზე. მონაწილეები დაყოფილნი იყვნენ რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფად. ერთ-ერთი ასეთი ჯგუფი 60 წელზე მეტი ასაკის მოასპარეზეებისაგან შედგებოდა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ვეტერანებს სპორტის ბევრ სახეობაში, ფრენბურთში, ცურვაში, თხილამურებით სრიალში, ტურიზმში, ჭადრაკში, შაშში, შეუძლიათ ასპარეზობა.

გთხოვთ, ჩემი წინადადება გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდოთ. ჩემი მოწოდებაა „ვეტერანებო, სტარტზე!".

**ლ. ბრანდტი,**

**გაზეთ „ტრუდის" ყოველკვირეული დამატება „ვეტერანი" №16.**

# ოლიმპიადის მატიანე

**ფეხბურთი**

1. სსრკ, 2. ბრაზილია, 3. გფრ

**სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა: თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი გელა კეტაშვილი.**

ფინალურ მატჩში საბჭოთა ფეხბურთელების მეტოქე იყო ბრაზილიის ნაკრები.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა: ხარინი, კეტაშვილი, ლოსევი, იაროვენკო, გორლუკოვიჩი, კუზნეცოვი, დობროვოლსკი, მიხაილიჩენკო, ტატარჩუკი, ნარბეკოვასი (ი. სავიჩევი, 46), ლიუტი (სკლიაროვი, 116).

ბრაზილიის ნაკრები: ტაფარელი, ლუის კარლოსი, ალოისიო, ანდრე კრუსი, ჟორჟინიო, მილტონი, ანდრადე, კარეკა, ბებეტო (ჟოაო პაოლო, 75), რომარიო ფარიასი, ნეტო (ადემირი, 72).

პირველი გოლი გაიტანა რომარიო ფარიასმა 30-ე წუთზე, 61-ე წუთზე წონასწორობა აღადგინა დობროვოლსკიმ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან. დამატებით დროში (105 წთ.) იური სავიჩევმა კი გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

**წყალბურთი**

1. იუგოსლავია, 2. აშშ, 3. სსრკ, 4. გფრ, 5. უნგრეთი, 6. ესპანეთი

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა თბილისის „დინამოს" მეკარე **მიხეილ გიორგაძე.**

**ჩოგბურთი. ქალები.**

1. შტეფი გრაფი (გფრ), 2. გაბრიელა საბატინი (არგენტინა), 3. ზინა გარისონი (აშშ) და მანუელა მალეევა (ბულგარეთი)

საქართველოდან საბჭოთა ჩოგბურთელთა ნაკრებ გუნდში ასპარეზობდა თბილისელი **ლეილა მესხი.**

**სპორტული ტანვარჯიში. ვაჟები.**

გუნდური პირველობა

1. სსრკ — 593,35 ქულა, 2. გდრ — 588,45, 3. იაპონია — 585,60, 4. ჩინეთი — 585,25, 5. ბულგარეთი — 585,10, 6. უნგრეთი — 585,0

**საბჭოთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ:** მოსკოველები დმიტრი ბილოზერჩევი და სერგეი ხარკოვი, ვლადიმირელი ვლადიმირ არტიომოვი, ალმაათელები ვლადიმირ ნოვიკოვი და ვალერი ლიუკინი, თბილისელი **ვლადიმერ გოგოლაძე.**

**ფარიკაობა**

**რაპირა. ვაჟები.**

1. სსრკ, 2. გფრ, 3. უნგრეთი, 4. გდრ, 5. პოლონეთი, 6. საფრანგეთი

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა: მინსკელი ალექსანდრე რომანკოვი, ბაქოელები ილგარ მამედოვი და ბორის კორეცკი, თბილისელი **ვლადიმერ აფციაური,** უფელი ანვარ იბრაგიმოვი.

**ტყვიის სროლა**

**ქალები. მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლა. 30+30+10 გასროლა.**

1. **ნინო სალუქვაძე** (სსრკ, თბილისი) — 690 ქულა
2. ტომოკო ხასეგავა (იაპონია) — 686
3. იასნია სეკარიჩი (იუგოსლავია) — 686
4. ლიზულოტე ბრეკერი (გფრ) — 685
5. აგნეშ ფერენცი (უნგრეთი) — 685
6. კრისტინა ფრიესი (შვეცია) — 685
7. ევილინ მანოში (საფრანგეთი) — 684
8. მარინა დობრანჩევა (სსრკ, დონის როსტოვი) — 682

**ქალები. პნევმატური პისტოლეტიდან სროლა. 4+10 გასროლა.**

1. იასნა სეკარიჩი (იუგოსლავია) — 489,5 (მსოფლიო რეკორდი)
2. **ნინო სალუქვაძე** (სსრკ, თბილისი) — 487,9
3. მარინა დობრანჩევა (სსრკ, დონის როსტოვი) — 485,2
4. ანე გოფინი (ბელგია) — 480,2
5. ანკე ფოლკერი (გდრ) — 479,3
6. ლიუ ხაუინგი (ჩინეთი) — 476,9.

**შენიშვნა:** მკითხველს გავაცანით მხოლოდ სპორტის იმ სახეობებისა და პროგრამის შედეგები, სადაც საქართველოს წარმომადგენლები ასპარეზობდნენ.

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**გთავაზობთ** სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო, XXX ტურის შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.

**„სპარტაკი“ — „ზენიტი“ 1:1 (0:0).** გოლები: შალიმოვი („სპარტაკი“), ვედენეევი („ზენიტი“).
გააფრთხილეს ტიმოფეევი („ზენიტი“).
დუბლიორები — 3:1.

**„დინამო“ (მოსკოვი) — „კაირატი“ 4:3 (4:1).** გოლები: ბოროდიუკი-3, ერიომენკო („დინამო“), ვოლგინი, ოგაი, ფეხლევანიდი.
მოსკოველი ბოროდიუკის დარტყმული თერთმეტმეტრიანი მოიგერია მეკარე ჩეკმეზოვმა.
გააფრთხილეს ივანოვი („კაირატი“).
დუბლიორები — 4:0.

**„ჩერნომორეცი“ — „ლოკომოტივი“ 0:1 (0:1).** ბურთი მოსკოველმა მაზურინმა გაიტანა.
დუბლიორები — 3:1.

**„შახტიორი“ — „დინამო“ (მინსკი) 0:1 (0:0).** გოლი შეხვედრის მეორე ნახევარში დინამოელმა გოცმანოვმა გაიტანა.
გააფრთხილეს რადუშკო, მეტლიცკი, როდნიონოკი („დინამო“), გოშკოდერია („შახტიორი“).
დუბლიორები — 3:1.

**„დინამო“ (კიევი) — „ნეფთჩი“ 2:1 (1:1).** გოლები: აზიმოვი („ნეფთჩი“), დემიანენკო, ლიტოვჩენკო („დინამო“).
გააფრთხილეს ფედოროვსკი („ნეფთჩი“).
„ნეფთჩის“ დუბლიორები კიევში თამაშზე არ გამოცხადდნენ, მათ წაგება ჩაეთვალათ 0:3.

**„ტორპედო“ — „არარატი“ 2:0 (1:0)** გოლები: შირინბეკოვი, ნ. სავიჩევი.
გააფრთხილეს მოსკოველი ჟუკოვი.
დუბლიორები — 1:0.

# საკავშირო ჩემპიონატის სტატისტიკა

⊙ **19 ნოემბერს** დამთავრდა სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატი, უმაღლესი ლიგის გუნდებმა ჩაატარეს კალენდრით გათვალისწინებული 240 მატჩი. აქედან 126 მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა, სტუმრებმა მოიგეს 46 თამაში, ხოლო 68 შეხვედრა დამთავრდა ფრედ. შედარებისთვის: შარშანდელ ჩემპიონატში თითქმის ასეთივე მდგომარეობა იყო, შესაბამისად — 127, 42 და 71.

⊙ **სამმა** ფეხბურთელმა გადააჭარბა საკავშირო ჩემპიონატებში ჩატარებული მატჩების 300-იან ზღვარს: ა. პოლუკაროვს (მოსკოვის „ტორპედო“) ნათამაშევი აქვს 307 მატჩი, ფ. ჩერენკოვს (მოსკოვის „სპარტაკი“) — 305 და აშ. ხაჩატრიანს (ერევნის „არარატი“) — 301.

ამ მაჩვენებლით ჩვენს ფეხბურთში რეკორდსმენია კიევის დინამოელი ო. ბლოხინი, რომელმაც საკავშირო ჩემპიონატებში სულ 432 მატჩი ჩაატარა, მოსკოვის ტორპედოელმა ვ. შუსტიკოვმა უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 427 მატჩი, მოსკოვის სპარტაკელმა გ. ჰუსაინოვმა — 410, მოსკოვის სპარტაკელმა ნ. ოსიანინმა — 402, ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელმა ლ. ბურჩალკინმა და დონეცკელმა მ. სოკოლოვსკიმ — 400-400.

⊙ **სსრ კავშირის** 51-ე ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელები არიან დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ თავდამსხმელი ე. შახოვი და მოსკოვის დინამოელი ა. ბოროდიუკი. ე. შახოვმა 28 შეხვედრაში 16 ბურთი გაიტანა, მათგან 4 — პენალტებით, ხოლო ა. ბოროდიუკმა 16 ბურთი 29 მატჩში გაიტანა, მათგან 3 — პენალტებით.

თბილისის „დინამოს“ ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელია გ. გურული, რომელმაც 9 ბურთი გაიტანა.

სხვა გუნდების საუკეთესო ბომბარდირები არიან: მ. რუსიაევი („ლოკომოტივი“) — 15, ს. როდიონოვი („სპარტაკი“) — 12, ო. პროტასოვი („დინამო“, კიევი) —11, მ. აჰმედოვი („ნეფთჩი“) — 10, ი. პეტროვი („შახტიორი“) — 10, ვ. გრეჩნევი და ა. რუდაკოვი („ტორპედო“) — 9-9, ა. ნარბეკოვასი („ჟალგირისი“) — 9, ს. დმიტრიევი („ზენიტი“) — 9, აშ. ხაჩატრიანი („არარატი“) — 5, ი. ტარასოვი და ი. იაკუბოვსკი („მეტალისტი“) — 6-6, ს. შიროკი („დინამო“, მინსკი) — 5, ა. შჩერბაკოვი („ჩერნომორეცი“) — 5, ს. ვოლგინი („კაირატი“) — 8.

⊙ **ყველაზე** მეტი ბურთი საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში გატანილი აქვს კიევის დინამოელ ო. ბლოხინს — 211, მომდევნო ადგილებზე არიან მოსკოვის ტორპედოელი ა. პონომარიოვი— 152, მოსკოვის სპარტაკელი ს. სიმონიანი — 144, მოსკოვის დინამოელი ს. სოლოვიოვი — 143, მოსკოვის არმიელი გ. ფედოტოვი— 132, ერევნელი ე. მარქაროვი — 129, თბილისის დინამოელი ა. ღოღობერიძე — 127 და მოსკოვის ტორპედოელი ვ. ივანოვი — 124.

⊙ **გატანილი** გოლების რაოდენობით ჩვენს ფეხბურთში საფეხბურთო ჩემპიონატებში პირველ ადგილზეა მოსკოვის „სპარტაკი“— 2.338 გოლი, მეორე ადგილზეა მოსკოვის „დინამო“ — 2.337, მესამეზე — კიევის „დინამო“ — 2.175 და მეოთხეზე — თბილისის „დინამო“ — 2.149.

⊙ **ყველაზე** ნაკლები ფეხბურთელი ჩემპიონატის მატჩებში ათამაშეს მოსკოვის „ლოკომოტივის“ მწვრთნელებმა — 19, ხოლო ყველაზე მეტი — დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ — (32) და თბილისის „დინამომ“ (29).

⊙ **განვლილ** ჩემპიონატში მსაჯებმა 64-ჯერ დანიშნეს 11-მეტრიანი დარტყმა, აქედან 40 მასპინძელთა და 24 — სტუმართა სასარგებლოდ. რეალიზებულია 55 დარტყმა.

⊙ **11-მეტრიანის** დარტყმის უფლება ყველაზე მეტჯერ მიეცათ თბილისის დინამოელებს — 12. მაგრამ ყველაზე მეტი პენალტიც თბილისის დინამოელთა კარში დაინიშნა — 6-ჯერ („ზენიტსა“ და „კაირატთან“ ერთად).

⊙ **ბაქოს** „ნეფთჩის“ თავდამსხმელს ი. პონომარიოვს ეკუთვნის თავისებური რეკორდი: მან ზედიზედ 24-ჯერ ზუსტად დაარტყა პენალტი. ძველი მიღწევა ეკუთვნოდა ოდესელ ვ. პლოსკინას — ზედიზედ 23 ზუსტი დარტყმა.

⊙ **დნეპროპეტროვსკის** „დნეპრს“, მოსკოვის „ტორპედოს“ და „სპარტაკს“ თავიანთ მინდვრებზე არ წაუგიათ არც ერთი თამაში, ხოლო ალმა-ათის „კაირატმა“ სტუმრად ვერ მოიგო ვერც ერთი მატჩი.

⊙ **ჩემპიონატის** 240 კალენდარულ მატჩს დაესწრო 5.014.070 მაყურებელი.

# დასავში — „სპარტაკში“, დასავში — „სევილიაში“

**როგორც** გამოცხადებული იყო, მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კოლექტივი ესპანეთს გაემგზავრა, სადაც ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა გამართა ამ ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან „სევილიასთან“.

სსრ კავშირის ჩემპიონატში სპარტაკელებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს, „სევილია“ კი ესპანეთის ახლა მიმდინარე ჩემპიონატში მესამე ადგილზე იმყოფება. „სევილიისა“ და „სპარტაკის“ ეს ამხანაგური მატჩი დამთავრდა ესპანელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:1 (1:1). პირველი ბურთი გაიტანა ესპანელმა პოლსტერმა, შემდეგ პასულკომ ანგარიში გაათანაბრა, შესვენების შემდეგ კი რამონმა დააწინაურა თავისი გუნდი.

სპარტაკელი რ. დასაევი თამაშის პირველ ნახევარში თავისი გუნდის კარს იცავდა, შესვენების შემდეგ კი „სევილიის“ კარში დადგა. რ. დასაევმა ესპანეთის ამ კლუბთან მოაწერა კონტრაქტს ხელი. მაყურებელი გულთბილად მიესალმა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს.

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 39-ე ტურის შეხვედრები.

**„სულორი“ (ვანი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:2. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: პაიკიძე, გაგნიძე, დვალიშვილი („სულორი“), მალანია, ვ. თუთბერიძე („დინამო“).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: სილაგაძე, ქურცაძე („საპოვნელა“), ჯაგოვი („მადნეული“).
განზრახ ხელით თამაშისთვის გააფრთხილეს თ. გასვლიანი („მადნეული“).

**„ივერია“ (ხაშური) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:2. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლები: ქურდაძე-2 („ივერია“), კვირტია, მატუა („სქური“).

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „დინამო“ (გაგრა) 1:0. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლი: ე. ციმაკურიძე („სამეგრელო“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი).** გოლი: ბაქრაძე (ფიზკ. ინსტ.).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:3. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლები: კიკნაძე, ურიადმყოფელი-2 („მეტალურგი“), ბაკურაძე, ქომეთიანი-2 („კოლხეთი“).

**„მეშახტე“ (ტყიბული) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 3:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: ნატროშვილი-3 („მეშახტე“), ბიგვავა, ბჟანია („ამირანი“).

**„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 4:1. მსაჯი ვ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: მექვევრიშვილი, ხოხობაშვილი, ორმოცაძე-2 („ბახტრიონი“), მონიავა („სალხინო“).

**„არმაზი“ (მცხეთა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 3:2. მსაჯი თ. კურტანიძე (თბილისი).** გოლები: კანდელაკი-2, იორამაშვილი („არმაზი“), კუხიანიძე-2 („შადრევანი“).

**„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:2. მსაჯი ო. გაგუა (სოხუმი).** გოლები: ჭეჭელაშვილი, მარღიშვილი („ქართლი“), კავთელაძე, სევასტოპულო („მაღაროელი“).
სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს გ. კავთელაძე, ხოლო უხეში თამაშისთვის — ი. ჭაკჭიძე (ორივე — „მაღაროელი“).

**მსაჯთა რეესტრი**

**26-27 ნოემბერი**

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი). **ი. გუნთაძე, ნ. კილაძე, დ. მენთეშაშვილი** (თბილისი). „სულორი“ (ვანი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა). **ვ. ეჯიბია, დ. გაგნიძე, ნ. ბიძინაშვილი** (თბილისი). „მადნეული“ (ბოლნისი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ). **თ. სადილიანი, რ. ვერულაშვილი** (თბილისი), **ა. ჟიჟიაშვილი** (მცხეთა). „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „არმაზი“ (მცხეთა). **ი. კანდელაკი** (თბილისი); **მ. ფოლადაშვილი** (რუსთავი), **დ. რეხვიაშვილი** (გარდაბანი). „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ივერია“ (ხაშური). **ნ. კილაძე, ო. გუნთაძე, ნ. ბიძინაშვილი** (თბილისი). „სქური“ (წალენჯიხა) — „მეშახტე“ (ტყიბული). **ა. შილაკაძე, გ. ხეჩუაშვილი, ი. შალამბერიძე** (თბილისი). „დინამო“ (ზუგდიდი) — „დურუჯი“ (ყვარელი). **ვ შელია, გ. მიქაუტაძე, მ. მალლაფერიძე** (ქუთაისი). ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი). **რ. ვერულაშვილი, გ. სადილიანი** (თბილისი), **ა. ჟიჟიაშვილი** (მცხეთა). „დინამო“ (გაგრა) — „შადრევანი“ (წყალტუბო). **ზ. ჯინჯარაძე** (მახარაძე), **ტ. ადეიშვილი, დ. მაღრაძე** (ზესტაფონი). „ეგრისი“ (ცხაკაია) — „ქართლი“ (გორის რაიონი). **დ. მენთეშაშვილი, ვ. ეჯიბია, დ. გაგნიძე** (თბილისი). „კოლხეთი“ (ხობი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე). **თ. ლაცაბიძე, ე. სილაგავა, ლ. მგელაძე** (თბილისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს პირველობა

### II ჯგუფი

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

სპი-„დინამო“-3 (თბ.) — „იმედი“ (თბილისი) 0:2, „ალგეთი“ (მარნეული) — ასს (თბილისი) 3:2, „ვარძია“ (ასპინძა) — „სამგორი“ (გარდაბანი) 3:1, „ფოსტამტი“ (თბილისი) — „მეფრინველე“ (კასპი) 3:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „არაგვი“ (დუშეთი) 4:3, „მეტალისტი“ (რუსთავი) — „აბული“ (ახალქალაქი) 10:2, „მესხეთი“ (ახალციხე) — „კახეთი“ (თელავი) 3:2, სსი (მუხრანი) — „თორი“ (ბორჯომი) 3:1, „თრიალეთი“ (წალკა) — „უნივერსიტეტი“ (თბილისი) 4:1.

მესამე ჯგუფის დასავლეთ ქვეჯგუფში სოხუმის „სუბტროპიკსა“ და მახარაძის „მელქედურს“ ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ. დაინიშნა დამატებითი მატჩი, რომელიც ქ. ცხაკაიაში გაიმართა. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვა სოხუმის „სუბტროპიკმა“ და 1989 წლის საფეხბურთო სეზონში მეორე ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა.

**გათამაშების ცხრილი**

**I ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ | 39 | 26 | 9 | 4 | 94-48 | 61 |
| „სულორი“ | 39 | 25 | 7 | 7 | 71-41 | 57 |
| „დინამო“ ზ. | 39 | 22 | 10 | 7 | 91-51 | 54 |
| „ამირანი“ | 39 | 18 | 8 | 13 | 67-50 | 44 |
| „სამეგრ.“ | 39 | 19 | 2 | 18 | 73-72 | 40 |
| „შადრევ.“ | 39 | 16 | 8 | 15 | 60-58 | 40 |
| „საპოვნ.“ | 39 | 15 | 8 | 16 | 57-56 | 38 |
| „მეტალ.“ | 39 | 15 | 8 | 16 | 67-66 | 38 |
| „მადნ.“ | 39 | 14 | 10 | 15 | 78-69 | 38 |
| „სპარტაკი“ | 39 | 14 | 10 | 15 | 67-59 | 38 |
| „მაღარ.“ | 39 | 16 | 5 | 18 | 65-68 | 37 |
| „დინამო“ გ. | 39 | 16 | 5 | 18 | 45-51 | 37 |
| „სქური“ | 39 | 14 | 7 | 18 | 64-64 | 35 |
| „ივერია“ | 38 | 13 | 9 | 16 | 46-58 | 35 |
| „არმაზი“ | 39 | 12 | 11 | 16 | 51-60 | 35 |
| „მეშახტე“ | 39 | 12 | 10 | 17 | 42-60 | 34 |
| „დურუჯი“ | 38 | 11 | 12 | 15 | 41-48 | 34 |
| „ბახტრ.“ | 38 | 13 | 7 | 18 | 50-63 | 33 |
| „სალხინო“ | 39 | 13 | 7 | 19 | 53-70 | 33 |
| ფიზკ. ინ. | 39 | 11 | 11 | 17 | 64-82 | 33 |
| „ეგრისი“ | 38 | 13 | 6 | 19 | 50-73 | 32 |
| „ქართლი“ | 39 | 10 | 8 | 21 | 48-77 | 28 |

## სსრ კავშირის ნაკრები უცხოეთში

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა პირველი ნაკრები ამჟამად უცხოეთში იმყოფება. 21 ნოემბერს ჩვენი ფეხბურთელები დამასკში შეხვდნენ სირიის ნაკრებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

ჩვენი ნაკრები სირიიდან კუვეიტს გაემართა, სადაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს, მერე კი, შინ დაბრუნებისას, 28 ნოემბერს კვლავ დამასკში ითამაშებს სირიის ნაკრებთან.

## „კაირატი“ — თასის მფლობელი

**21 ნოემბერს** კიშინიოვში შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ალმა-ათის „კაირატი“ და ბაქოს „ნეფთჩი“. საყურადღებოა, რომ სწორედ „კაირატი“ და „ნეფთჩი“ გამოეთიშნენ წლევანდელ სეზონში უმაღლესი ლიგის რიგებს.

შეხვედრა მოიგო „კაირატმა“ — 4:1 (1:0). გამარჯვებულთაგან ოთხივე ბურთი გაიტანა კარაჩუნმა, ხოლო „ნეფთჩის“ გოლი ეკუთვნის კასუმოვს.

# უეფა-ს სანქციები

**ევროპის** ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის სადისციპლინო კომისიამ ჟენევაში საგანგებოდ იმსჯელა იმ უწესრიგობებზე, რომელიც 5 დეკემბერს მოხდა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის საპასუხო მატჩში იუგოსლავიის ქ. ბანია-ლუკას „ბორაცსა“ და ხარკოვის „მეტალისტს“ შორის.

ხარკოვის სტადიონზე უღირსად მოიქცნენ „ბორაცის“ მეორე მწვრთნელი გავრილოვიჩი და გუნდის წარმომადგენელი სტანიჩი. გავრილოვიჩმა უდიერად შეურაცხყო მატჩის გვერდით მსაჯს, რის გამოც მას ევროპულ ტურნირებში მონაწილეობის მიღება აეკრძალა 1993 წლის მაისამდე, ხოლო სტანიჩს ასეთივე აკრძალვა გამოუტანეს 1991 წლის ნოემბრამდე.

უეფა-ს ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში 8 მატჩით დისკვალიფიცირებულია „ბორაცის“ ფეხბურთელი იაკოვლევიჩი, მისი თანაგუნდელი ბილბია კი — ერთი თამაშით. გარდა ამისა, ბანია-ლუკას „ბორაცი“ დააჯარიმეს 24 ათასი დოლარით.

დაისაჯა იტალიის „მილანიც“, რომელმაც საპასუხო მატჩი გამართა იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდასთან“. ამ გუნდის ორი ფეხბურთელი დისკვალიფიცირებულია: ვირდისი მინდვრიდან გააძევეს, ამიტომაც იგი 3 მატჩში ვერ მიიღებს მონაწილეობას, ხოლო მალდინიმ გაფრთხილება დაიმსახურა, ამიტომაც იგი გააცდენს ევროპული ტურნირების ერთ მატჩს.



**უკრაინის** ქალაქ კამენეც-პოდოლსკში მოეწყო ოქტომბრის რევოლუციის 71-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირი ფეხბურთში, მასში მონაწილეობდა 1974-75 წლებში დაბადებულ მოზარდთა 8 გუნდი. ჩვენი რესპუბლიკა ამ ასპარეზობაში თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდით იყო წარმოდგენილი (სკოლის დირექტორი ა. თურქია). მასთან ერთად ასპარეზობაში მონაწილეობდნენ კამენეც-პოდოლსკის ორი გუნდი, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მოკოვის და მეტიშენის კოლექტივები.

ჩვენმა ფეხბურთელებმა კარგად ჩაატარეს ტურნირი, შვიდივე შეხვედრა მოიგეს ბურთების საერთო შეფარდებით 17:3. საუკეთესო ბომბარდირის პრიზი 9 გატანილი ბურთით გია მისაბიშვილმა დაიმსახურა. გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადეს მწვრთნელებმა ნ. ლეჟავამ და ა. ილიადიმ. მეორე-მესამე ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ კამენეც- პოდოლსკის I და ლენინგრადის გუნდები.

**შ. ნოზრევანიძე**
ტექსტი და ფოტო.

# „სად არის ეს ქუჩა...?“

**თბილისში,** რიყის მოედანზე ჩატარდა რესპუბლიკის საავტომობილო სამინისტროს, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ტაქსომოტორების საწარმოების ტრადიციული შეჯიბრება დევიზით — „სად არის ეს ქუჩა, სად არის ეს სახლი — 88“.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ტაქსომოტორების საწარმოს 30-ზე მეტი მძღოლი. ეს ტრადიციული შეჯიბრება 1972 წლიდან ტარდება ჩვენს ქალაქში.

ასპარეზობა ორ ეტაპად ჩატარდა. პირველად სპორტსმენებს უნდა ეჩვენებინათ თავიანთი ოსტატობა სლალომში, სადაც ვლინდებოდა მძღოლების პროფესიული ოსტატობა. იმის შემდეგ ყველა მძღოლს ეძლეოდა დაბეჭდილი პაკეტი, სადაც მოცემული იყო გარკვეული მისამართები დაწესებულება-ორგანიზაციებისა. მძღოლ-სპორტსმენებს უმოკლესი მანძილით, ფულის მრიცხველის ნაკლები ჩვენებით უნდა გაევლოთ მოცემული მარშრუტი. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სამსაჯო კოლეგიამ პირველი გუნდური ადგილი მიაკუთვნა № 6 ტაქსომოტორების პარკის გუნდს (დირექტორი თამაზ გვწაძე). მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს № 3 და № 4 ტაქსომოტორების პარკების გუნდებმა.




სტარტის წინ.
ავტორის ფოტო.

სლალომში პირად პირველობაში პირველი იყო № 2 საწარმოს მძღოლი ა. სერდიუკოვი, მეორეზე გავიდა მისი თანაგუნდელი რ. მესროპიანი, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა №1 საწარმოს მძღოლს ვ. გოგაძეს, საერთო ჯამში პირად პირველობაში ყველას აჯობა შარშანდელმა ჩემპიონმა, №3 საწარმოს მძღოლმა ვ. დეკანოიძემ. მეორე და მესამე ადგილები დაისაკუთრეს №6 და №3 საწარმოების მძღოლებმა მ. ჯულუხაძემ და ბ. მამაცაშვილმა.

**გურამ მგალობლიშვილი.**

# ნბა-ს ჩემპიონატის სტარტი



**ახალ** ჩემპიონატში ერთი სიახლეა. მონაწილე 23 გუნდს კიდევ ორი დაემატა: ჩარლოტე და მიამი. მიმომხილველთა აზრით, დასავლეთის ზონაში კონკურენცია შედარებით ნაკლებია და იქ ფავორიტი, ცხადია, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსია“, რომლის შევიწროვება ბოლო ექვსი წლის მანძილზე დასავლეთის დივიზიონში მხოლოდ 1986 წელს შეძლო „ჰიუსტონ როკეტსმა“.

გაცილებით უფრო მწვავე კონკურენციაა მოსალოდნელი აღმოსავლეთის დივიზიონში. საფიქრებელია, რომ „ბოსტონ სელტიქსს“ ნბა-ს ჩემპიონატის შარშანდელი ფინალისტის „დეტროიტ პისტონსის“, „ჩიკაგო ბულსის“ და ახალგაზრდა მეტად პერსპექტიული კოლექტივის „ატალანტა ჰოუქსის“ სახით საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ეყოლება.

აი, პირველი ორი ტურის შედეგები: I ტური: ბოსტონი — ნიუ-იორკი — 122:115, ნიუ-ჯერსი — ატლანტა — 105:113, ფილადელფია — კლაიპერსი — 129:110, ჩარლოტე — კლიელენდი—93:133, ინდიანა — მილუოკი — 103:117, ჩიკაგო — დეტროიტი — 94:107, დალასი — ლეიკერსი — 113:116, დენვერი — ჰიუსტონი — 120:117, „უტაჰ ჯაზი“ — სიეტლი—97:104, პორტლენდი — ფენიქსი — 120:105.

II ტური: ნიუ-ჯერსი — ნიუ-იორკი — 112:115, ვაშინგტონი — ჩიკაგო — 98:111, მიამი — კლიპერსი — 91:111, დეტროიტი — ჩარლოტე — 94:85, ინდიანა — კლივლენდი — 99:105, მილუოკი — ატლანტა — 94:107, ჰიუსტონი — დალასი — 113:114, სან-ანტონიო — ლეიკერსი — 122:107, გოლდენ შტატი — ფენიქსი — 117:102, პორტლენდი — საკრამენტო — 121:103, სიეტლი — დენვერი — 142:141.

როგორც ხედავთ, ახლად შექმნილმა კლუბებმა ჩარლოტემ და მიამიმ სტარტი სუსტად აიღეს. ვნახოთ, შეძლებენ თუ არა ისინი მდგომარეობის გამოსწორებას.

პირველი ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი შედგა ჩიკაგოში „ჩიკაგო ბულსსა“ და „დეტროიტ პისტონსს“ შორის. სტუმრების გამარჯვება მოულოდნელად შეიძლება მივიჩნიოთ და იგი, როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს, განპირობებული იყო დაცვაში ჩინებული თამაშით. სტუმრებმა შესძლეს მასპინძელთა ლიდერის მაიკლ ჯორდანის (28 ქულა) ნეიტრალიზება.

მეორე ტურის შეხვედრებიდან ფართო რეზონანსი გამოიწვია „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ დამარცხებამ „სან-ანტონიო სპურსთან“. აღსანიშნავია, რომ „სან-ანტონიოს“ გამარჯვებას დიდად შეუწყო ხელი სეულის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ვილი ანდერსონის (30 ქულა) ბრწყინვალე თამაშმა. ყურადღებას იპყრობს „ატლანტა ჰოუქსის“ კარგი სტარტი. მის მწვრთნელს მაიკლ ფრატელოს სერიოზულად აფიქრებდა ის ფაქტი, რომ გუნდი ჩემპიონატს მეტოქის მოედნებზე იწყებდა. ატლანტას წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა დომინიკ უილკინსის კარგმა თამაშმა. ორ სასტარტო მატჩში მის ანგარიშზეა 57 ქულა.

**პუბლიკაცია მოამზადა**
**მერაბ კალანდაძემ.**

# მეორე მარცხი

**ნოქსვილი** (ტენესის შტატი, აშშ). საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა, რომელიც ტურნეს ატარებს აშშ-ში, ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგო, ამჯერად ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდთან ანგარიშით — 81:83. ტრავმის გამო თამაშში მონაწილეობა ვერ მიიღო არვიდას საბონისმა.

ბრძოლის ბედი ბოლომდე გაურკვეველი იყო. მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე წინ საბჭოთა კალათბურთელები იყვნენ 81:79. ამერიკელმა ტრევის ჰენრიმ წარმატებით გამოიყენა ორი ჯარიმა და ანგარიში გათანაბრდა 81:81. ბოლო წამებზე კი იმავე ჰენრიმ ზუსტი სროლით დააწინაურა თავისი გუნდი.

საბჭოთა ნაკრებში ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ: ვალერი ტიხონენკო (21); ვალდემარას ხომიჩუსი (19), რიმას კურტინაიტისი (17), ამერიკელთა შორის — დროუნ ნიკსი (22).

ჩვენი კალათბურთელები აშშ-ში კიდევ ორ შეხვედრას გამართავენ.

# ოჯახური ტრადიცია

**პერტი.** ავსტრალიის ამ ქალაქში მოეწყო ჭაბუკთა მსოფლიოს გუნდური თასის გათამაშება ჩოგბურთში. წინასწარ შეხვედრებში სხვებზე უკეთ გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები, რომლებმაც ყველა ორთაბრძოლა მოიგეს და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩეხოსლოვაკიელთა გუნდში თამაშობდა წარსულში ცნობილი ჩოგბურთელის, უიმბლდონის 1973 წლის ჩემპიონის იან კოდეშის ვაჟი, ისიც იან კოდეში. უმცროსი კოდეში, რომელიც ჯერ მხოლოდ 16 წლისაა, წარმატებით აგრძელებს ოჯახურ ტრადიციას. იგი ფინალური მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო, რომელმაც ხელი შეუწყო თავისი გუნდის წარმატებას. ჩეხოსლოვაკიელებმა ამერიკელი თანატოლები დაამარცხეს ანგარიშით 2:1 და საპატიო ჯილდოს დაეპატრონენ.

# ნავრატილოვა, შრაივერი და საბატინი

**ნიუ-იორკი.** დასრულდა პროფესიონალ ჩოგბურთელთა არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი — „ვირჯინია სლიმზის“ მრავალეტაპიანი ტურნირი.

წყვილთა ტურნირის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს საბჭოთა და ამერიკულმა დუეტებმა (ნატალია ზვერევა — ლარისა სავჩენკო და მარტინა ნავრატილოვა — პემ შრაივერი). ეს შეხვედრა შედარებით ხანმოკლე გამოდგა და დამთავრდა ნავრატილოვა — შრაივერის გამარჯვებით 6:3, 6:4.

ერთეულთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინელი გაბრიელა საბატინი და პემ შრაივერი. მატჩის რეგლამენტი განსაზღვრული იყო ხუთი პარტიით, მაგრამ გამარჯვებული სამ პარტიაში გამოვლინდა. როგორც მოსალოდნელი იყო ფინალი არგენტინელმა ჩოგბურთელმა მოიგო — 7:5, 6:4, 6:2.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**




# ავსტრალიის „გრან პრი“

**ავსტრალიაში,** ადელაიდას ტრასაზე (3,780 კმ სიგრძე), გაიმართა „ფორმულა-1“ კლასის ავტომრბოლთა მსოფლიოს 39-ე ჩემპიონატის ბოლო, მეთექვსმეტე ეტაპი. გათამაშდა ავსტრალიის „გრან პრი“.

შეჯიბრებამდე რამოდენიმე დღით ადრე აირტონ სენამ, ტიერი ბუტსანმა და ფილიპ სტრაიფმა ზღვის სანაპიროზე ფეხბურთი ითამაშეს. მსოფლიოს წლევანდელმა ჩემპიონმა მუხლის მცირე ტრავმა მიიღო, მაგრამ საწვრთნელ რბოლაში მაინც გამოვიდა სტარტზე.

საკვალიფიკაციო რბოლა მესამედ მოიგო ალენ პროსტმა, ერთი წრე გაიარა 1 წუთსა, 18,179 წამში. მეორე იყო აირტონ სენა. მესამე და მეოთხე ადგილი დაიკავეს „უილიამს-ჯადის“ პილოტებმა — ნაიჯელ მენსელმა და რიკარდო პატრეზემ.

სტარტიდან ლიდერობა ხელთ იგდო პროსტმა. სენა წამით შეყოვნდა და წინ მენსელი და ბერგერი გაუშვა. 13 წრის განმავლობაში ავსტრიელი სპორტსმენი ცდილობდა წამოწეოდა პროსტს, მაგრამ, როცა მოსახვევში ერთი წრით ჩამორჩენილ რენენ არნუს („ლიჟიე ჯადი“) უსწრებდა, შეცდომა დაუშვა, შეეჯახა მას და „ფერარი“ ისე დაზიანდა, რომ ბერგერმა რბოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო. მენსელმაც ვერ დაიმორჩილა ავტომობილი მოსახვევში დიდი სიჩქარით შესვლისას და „უილიამსი“ ბარიერს შეეჯახა. საბედნიეროდ, პილოტი არ დაშავებულა. ამით სენას გზა გაუთავისუფლდა და ბრაზილიელმა პილოტმა სიჩქარეს უმატა. იგი 30 წამით ჩამორჩებოდა ალენ პროსტს. სენამ დაკარგული დრო ვერ აინაზღაურა და საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავა. ალენ პროსტმა მეშვიდე „გრან პრი“ მოიგო წელს, საერთოდ კი 35-ე. მთელი დისტანცია (309, 786 კმ — 82 წრე) მან დაფარა 1 საათში, 53 წუთსა და 14,676 წამში.

სენამ და პროსტმა „მაკლარენს“ მეთხუთმეტე გამარჯვება მოუტანეს. მათ მეათე დუბლი შეასრულეს წელს. საერთო ჯამში დააგროვეს 199 ქულა და 63 ქულით გააუმჯობესეს „უილიამს-ჰონდას“ შარშანდელი რეკორდი.

ამრიგად, ეტაპის საბოლოო შედეგი ასეთია: 1. ალენ პროსტი (საფრანგეთი) — 9; 2. აირტონ სენა (ბრაზილია) — 6 (ორივე — „მაკლარენ ჰონდა“); 3. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ლოტუს ჰონდა“) — 4; 4. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს-ჯადი“) — 3; 5. ტიერი ბუტსანი (ბელგია, „ბენეტონ ფორდ კოსუორტი“) — 2; 6. ივან კაპელი (იტალია, „მარჩ ჯადი“) — 1 ქულა.

ახლა კი გთავაზობთ ჩემპიონატის შემაჯამებელ ცხრილებს პირად ჩათვლაში და კონსტრუქტორთა პირველობაზე.

**პირადი ჩათვლა:**

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ ჰონდა“) — 90 ქულა (94);
2. ალენ პროსტი (საფრანგეთი „მაკლარენ ჰონდა“) — 87 (105);
3. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“) — 41;
4. ტიერი ბუტსანი (ბელგია, „ბენეტონ ფორდ კოსუორტი“) — 31;
5. მიქელე ალბორეტო (იტალია, „ფერარი“) — 24;
6. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ლოტუს ჰონდა“) — 20;
7. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ-მეგატრონი“) — 15;
8. ალესანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ ფორდ კოსუორტი“) — 15;
9. ივან კაპელი (იტალია, „მარჩ-ჯადი“) — 15;
10. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „უილიამს-ჯადი“) — 12;
11. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს-ჯადი“) — 8;
12. ჯონათან პალმერი (ინგლისი, „ტაირელ ფორდ კოსუორტი“) — 5;
13. მაურიციო გუგელმინი (ბრაზილია, „მარჩ-ჯადი“) — 5;
14. ედი ჩივერი (აშშ, „ეროუზ-მეგატრონი“) — 5;
15. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „რიალ ფორდ კოსუორტი“) — 3;
16. სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია, „ლოტუს-ჰონდა“) — 1;
17. პიერ-ლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი ფორდ კოსუორტი“) — 1 ქულა.

**კონსტრუქტორთა პირველობა:**

1. „მარლბორო მაკლარენ ჰონდა“ — 199 ქულა;
2. „ფერარი“ — 65;
3. „ბენეტონ ფორდ კოსუორტი“ — 46;
4. „ლოტუს ჰონდა“ — 21;
5. „უილიამს-ჯადი“ — 20;
6. „ეროუზ-მეგატრონი“ — 20;
7. „მარჩ-ჯადი“ — 20;
8. „ტაირელ ფორდ კოსუორტი“ — 5;
9. „რიალ ფორდ კოსუორტი“ — 3;
10. „მონარდი ფორდ კოსუორტი“ — 1 ქულა.

ტურბო-კომპრესორიან ძრავებს შორის საუკეთესო იყო „ჰონდა“ (220 ქულა), ხოლო ატმოსფერულ ანუ ტრადიციულ ძრავებში — „ფორდ კოსუორტი“ (55 ქულა).

დასრულდა მსოფლიოს 39-ე ჩემპიონატი და ტურბოძრავების ერა ისტორიას ჩაბარდა. მომავალი წლიდან ყველა ავტომობილი აღჭურვილი იქნება ატმოსფერული ძრავებით. ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს მე-40 ჩემპიონატი დაიწყება ბრაზილიის „გრან პრის“ გათამაშებით 26 მარტს და დასრულდება ავსტრალიაში, 5 ნოემბერს. დეტროიტის ქუჩების რეკონსტრუქციის გამო, ამერიკის შეერთებული შტატები ვერ უმასპინძლებენ მსოფლიოს საუკეთესო ავტომრბოლებს.

**დავით ჩუბინიძე.**

**პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო სპორტული კლუბი 18-14 დეკემბერს მძლეოსნობის სასახლეში (წერეთლის გამზირი 95-ა) ატარებს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების საკავშირო პირველობას. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს მოკავშირე რესპუბლიკების და ქალაქების ბავშვთა და მოზარდა სპორტული სკოლების 600-მდე წარმომადგენელი.**

ასპარეზობის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სპორტული კლუბი თხოვნით მიმართავს თბილისის ფაბრიკა-ქარხნებს, წარმოება-დაწესებულებებს და კოოპერატივებს შეჯიბრებას გაუწიონ სპონსორობა.

შეჯიბრების დღეებში მძლეოსნობის სასახლეში სპონსორების მიერ ჩატარდება სასურსათო და სამრეწველო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა. ამასთან დაკავშირებით ორგანიზაციების წარმომადგენელთა წინადადებებს ველით 5 დეკემბრამდე.

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი 95, ტელეფონები: 95-36-01, 95-15-31, 95-58-07.

**საქართველოს სპორტსახკომი, რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე**

**გიორგი ვასილის ძე ბედინეიშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05601

ეროვნული ბიბლიოთეკა